საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ბრძანება N 68

31/03/2021

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების 2021 წლის სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 31 მარტის №168 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, მის მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის დამტკიცდეს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების 2021 წლის სამოქმედო გეგმა“, თანდართული რედაქციით.

2. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ივანე მაჭავარიანი

მინისტრი